საქართველოს კანონი

"საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონში (საკანონმდებლო მაცნე, N12, 21.05.2003, მუხლ. 62) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება და კანონის 47-ე მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 47. საქართველოს კონტროლის პალატის მიერ წლიური ანგარიშის შემოწმება

საქართველოს კონტროლის პალატა ვალდებულია შეამოწმოს საქართველოს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების შესრულების საბოლოო ანგარიშები და ანგარიშგება და შემოწმების შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს და შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს კონტროლის პალატის ინფორმაციაში უნდა აისახოს რამდენად სრულია და ზუსტია საბოლოო ანგარიში"

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი